# საბჭოთა პროფკავშირებო! განავითარეთ მასების შრომითი აქტიურობა, ინიციატივა, შემოქმედება, მიაღწიეთ მათი შრომის, ყოფის, დასვენების პირობების გაუმჯობესებას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69 წლისთავისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 ოქტომბერი, სამშაბათი, 1986 წ.
№ 202 (2363) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ჩოგბურთში

# ლეილა მესხი — უძლიერესთა შორის

**ტაშკენტი.** ამბობენ, ჩოგბურთი მეოთხედფინალიდან იწყებაო. და მართლაც, ნებისმიერ დიდ ტურნირში მთავარი სიუჟეტური გარჯა სწორედ ამ ეტაპიდან ვითარდება. საკავშირო ჩემპიონატის ქალთა მეოთხედფინალში ყველა უძლიერესმა ჩოგბურთელმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ ისინიც, ვინც ოქროს მედლის მოპოვებაზე აცხადებდნენ პრეტენზიას, აქ იყო შარშანდელი ჩემპიონი მოსკოველი სვეტლანა პარხომენკოც. თუმცა თავისი უფლებამოსილება მან სწორედ მეოთხედფინალში დათმო. სალნიკოვასთან წაგებული ბრძოლის შემდეგ (6:7, 2:6) იგი ექსჩემპიონი გახდა.



პარხომენკოს ბედი სხვა სამმა პრეტენდენტმაც გაიზიარა. მილვიდსკაიამ მძაფრი ბრძოლის შემდეგ დათმო შეხვედრა სავჩენკოსთან (4:6, 5:7). ელისეენკომ და ბიკოვამ კი შედარებით უბრძოლველად წააგეს შეხვედრები. პირველმა ზვერევასთან (2:6, 0:6), მეორემ — მესხთან (2:6, 1:6).

მერე ნახევარფინალები ჩატარდა, რომელმაც მორიგი გამარჯვებები მოუტანა 15 წლის მინსკელ მოსწავლეს ნატალია ზვერევასა და თბილისელ ლეილა მესხს. ზვერევამ ადვილად დაამარცხა სავჩენკო (6:1, 6:2). მესხი — სალნიკოვას ორთაბრძოლა კი მთელი სამი საათი გრძელდებოდა და თბილისელი ჩოგბურთელის ძნელი, მაგრამ საპატიო გამარჯვებით დამთავრდა 7:6, 4:6, 9:6.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ზამთრის საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებული ლეილა მესხი და მინსკელი ნატალია ზვერევა. ამჯერად ბედმა ზვერევას გაუღიმა, რომელმაც მოიგო შეხვედრა (6:2, 6:4) და მასთან ჩემპიონის ოქროს მედალი. უმნიშვნელო წარმატება არც უძლიერესთა ტურნირში მოპოვებული ვერცხლის მედალია, რომელიც ლეილა მესხს გადაეცა.

ვაჟთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოველი ანდრეი ჩესნოკოვი და კიეველი ალექსანდრე დოლგოპოლოვი. სამ პარტიაში გამარჯვება ჩესნოკოვს დარჩა — 7:5, 6:0, 6:4.

გამოვლინდნენ ჩემპიონები წყვილთა თანრიგებშიც. ქალთა ფინალში ლარისა სავჩენკომ (ლვოვი) და სვეტლანა პარხომენკომ (მოსკოვი) მესხისა და ზვერევას დუეტი დაამარცხეს —6:2, 6:4, ვაჟებში ალექსანდრე ზვერევმა (მოსკოვი) და სერგეი ლეონიუკმა (მინსკი) კონსტანტინე პუგაევსა (მოსკოვი) და ანდრეს ვისანდს (ტალინი) აჯობეს — 6:2, 7:5. შერეულ წყვილთა თანრიგში ოქროს მედლები ლარისა სავჩენკომ და ალექსანდრე დოლგოპოლოვმა მოიპოვეს. ფინალში მათ ელენე ელისეენკო (დონეცკი) და სერგეი ლეონიუკი დაამარცხეს — 6:3, 7:5.

# ყვავილები „დედოფალს"

**ჭადრაკის** მეოთხედ გამოაცხადეს მაია ჩიბურდანიძე ჭადრაკის „დედოფლად". მეოთხედ ავიდა იგი ოლიმპის მწვერვალზე და აგრძელებს თავისი სახელგანთქმული წინამორბედის ნონა გაფრინდაშვილის გამარჯვებების ტრადიციებს.

ეს შესანიშნავი გამარჯვება, რომელმაც კიდევ ორი წლით გაახანგრძლივა მსოფლიო ასპარეზზე ქართველი მოჭადრაკე ქალების მეოთხედსაუკუნოვანი ბატონობა, მაია ჩიბურდანიძეს 19 ოქტომბერს მიულოცეს მატჩის საზეიმო დახურვაზე.

„ლიკანის" კინოსაკონცერტო დარბაზმა ამ დღეს ვერ დაიტია ზეიმის მონაწილეობის ყველა მსურველი, აქ შეიკრიბნენ რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული სტუმრები, ბორჯომის რაიონის მშრომელები, რომლებმაც ბევრი რამ გააკეთეს ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრების წარმატებით გამართვისათვის, აგრეთვე ამ ცნობილი კურორტის მრავალრიცხოვანი დამსვენებელი.

მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინით შემკობის საზეიმო რიტუალი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. მელქაძემ. შემდეგ მატჩის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა, იუგოსლაველმა რ. მარიჩმა შეაჯამა ორი შესანიშნავი მოჭადრაკე ქალის ორთაბრძოლის შედეგები. მან აღნიშნა, რომ მეტოქეებმა უჩვენეს მაღალი საჭადრაკო ხელო-

იხ. მე-4 გვ.

ს უ რ ა თ ზ ე (მარცხნიდან): რ. მარიჩი, ო. მელქაძე, მ. ჩიბურდანიძე, ვ. სევასტიანოვი.

# საქართველოს სპორტსახკომში

**გუშინ** საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭა ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის მაია ჩიბურდანიძის სეკუნდანტს, საერთაშორისო დიდოსტატს იგორ პოლოვოდინს (ლენინგრადი). ამავე დროს საქართველოს სპორტსახკომმა სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის წინაშე დასვა საკითხი, რათა მაია ჩიბურდანიძის პირველ სეკუნდანტს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს, საერთაშორისო დიდოსტატს გენადი კუზმინს (ვოროშილოვგრადი) მიენიჭოს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება.




**ციტატა**

## გზა ჰარმონიისაკენ

ამ სათაურით 19 ოქტომბერს გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" ფურცლებზე გამოქვეყნდა მძლეოსნობაში სპორტის ოსტატის, ამჟამად დონეცკის მ. გორკის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვ. კაზაკოვის საინტერესო წერილი.

ავტორი კონკრეტული ფაქტების მოშველიებით ამტკიცებს, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტი სოციალური მოღვაწეობის ისეთივე სფეროა, როგორც სხვა დანარჩენი, თანაც თანასწორუფლებიანი, რასაც უთუოდ უნდა გაეწიოს ანგარიში. ვ. კაზაკოვის ღრმა რწმენით სპორტსმენებს ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი პროფესიის არჩევაში და სწავლაში, ჯეროვნად უნდა დავაფასოთ მათი შრომა, გავუგოთ, დავეხმაროთ...

ახლა კი გთავაზობთ ერთ ციტატას ამ წერილიდან:

**„ნახეთ, რა გამოდის. უმაღლეს სასწავლებლებში საკონკურსო შერჩევისას დამატებით, შეღავათიან ქულებს ვურიცხავთ გუშინდელ მეომრებს, მედალოსნებს, სოფლიდან ჩამოსულ აბიტურიენტებს, სკოლის იმ მოსწავლეებსაც კი, ვინც სასწავლო-საწარმოო კომბინატის კედლებში „ნებაყოფლობით-იძულებით" წესით მოისმინა ინსტიტუტის პროფილთან მიახლოებული რაიმე კურსი. სრულიად გაუგებარია, რატომ ვერ ვხედავთ ამ სიაში ნორჩ სპორტის ოსტატებს (აქ არ ვგულისხმობთ ფიზკულტურის ინსტიტუტს). განა მისი შრომისმოყვარეობა არ იმსახურებს თუნდაც ისეთსავე ყურადღებას, როგორსაც პასპორტში ჩარტყმული შტამპი სოფელში ჩაწერის შესახებ? (გვერწმუნეთ, „სსრ კავშირის სპორტის ოსტატის" პატიოსნად მოპოვებული ნიშანი საკმაოდ მყარი ექვივალენტია შეუპოვრობისა და შრომისმოყვარეობისა)".**

# მესამე ადგილზე

**ტერნოპოლი** (დეპეშით, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი). უკრაინის ამ ქალაქში დამთავრდა საკავშირო პირველობა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თურქმენეთისა და უკრაინის გუნდები, ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს თურქმენეთის ფეხბურთელებმა, რომლებმაც პირველი ადგილი დაისაკუთრეს.

III ადგილისთვის იბრძოდნენ საქართველოს და აზერბაიჯანის გუნდები. ანგარიშით 3:1 მატჩი მოიგო საქართველოს გუნდმა, რომელმაც ტურნირში მესამე ადგილი დაიკავა.

# გიორგი თენაძის — „ვერცხლის" ჯილდო



**ვენა.** ავსტრიის დედაქალაქში დამთავრდა მსოფლიო თასის გათამაშება ძიუდოში. შეჯიბრებამ სპორტის ამ სახეობის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. საპატიო პრიზისთვის 28 ქვეყნის 160-ზე მეტი ათლეტი იბრძოდა.

გუნდური გამარჯვება საბჭოთა ძიუდოისტებმა მოიპოვეს. პირად ჩათვლაში კი სამი პირველი, ერთი მეორე და ერთიც მესამე ადგილი დაიკავეს.

78 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესი გროზნოელი ბაშირ ვარაევი იყო. მინსკელმა ვიტალი პესნიაკმა ყველას აჯობა 86 კგ წონაში. მძიმე წონაში „ოქროს" ჯილდო ჩელიაბინსკელმა გრიგორი ვერიჩევმა დაისაკუთრა.

ჩვენი თანამემამულე გორელი გიორგი თენაძე ამ შეჯიბრებაში მეორე იყო (71 კგ), ხოლო ქალეზნოგორსკელმა იგორ გლივუკმა (65 კგ) მესამე ადგილი დაიკავა.

## საქართველოს გუნდური ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში

# კასპელ ფალავანთა წარმატება

ქართულ ჭიდაობაში რესპუბლიკის გუნდური პირველობის ფინალს, რომელიც ამ დღეებში მცხეთაში ჩატარდა, ტრადიციულად უამრავი მაყურებელი მოაწყდა. და უნდა ითქვას, რომ ფალავნებმა მოლოდინი გაამართლეს. შეხვედრები ჩატარდა საინტერესოდ, დაძაბულ, უშეღავათო ბრძოლაში. როგორც ჩანს სეზონის ამ ერთ-ერთ ბოლო შეჯიბრებას მონაწილენი ყოველმხრივ მომზადებულნი შეხვდნენ.

უკვე პირველივე შეხვედრებმა ცხადყო, რომ მთავარი პრიზისთვის (ბროლის გარდამავალი თასისთვის) კასპისა და თელავის კოლექტივები იბრძოლებდნენ. მათ წინასწარი შეხვედრები ალმავლობით ჩაატარეს და მოწინააღმდეგეებს წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვეს. ასე მაგალითად, კასპელებმა თბილისის გუნდი ანგარიშით 7:2 დაამარცხეს, თერჯოლას კი კიდევ უფრო დიდი უპირატესობით (8:1) მოუგეს. თელაველებიც დამაჯერებლად ატარებდნენ წინასწარ ორთაბრძოლებს. ეს კარგად გამოჩნდა მესტიისა და მცხეთის გუნდებთან ორთაბრძოლებში, რომლებიც თელავის მოჭიდავეებმა ერთნაირი ანგარიშით (6:3) დაამარცხეს.

ერთი სიტყვით, ფინალში ერთმანეთის პირისპირ ორი ღირსეული მეტოქე — კასპი და თელავი წარსდგა. ბრძოლა ამჯერად მძაფრი და დაძაბული გამოდგა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი შეხვედრის წინ ანგარიში თანაბარი იყო. გამარჯვებული გუნდი მძიმეწონოსანთა შეხვედრას უნდა დაესახელებინა. ქიტესა ხოდელმა (კასპი) მეტოქეს ერთი ორქულიანი ილეთი ჩაუტარა. თავის მხრივ ვალში არც გელა უსოიანი (თელავი) დარჩენილა. მან ორი ითოქულიანი ილეთი ჩაატარა. მაგრამ მსაჯთა კოლეგიამ მცირე უპირატესობით გამარჯვება კასპელ მოჭიდავეს მიანიჭა. ამ გამარჯვებამ კასპის გუნდი პირველ ადგილზე გაიყვანა. გარდამავალი თასი სწორედ მას გადაეცა (მწვრთნელები — ლავრენტი კაციაშვილი და ოთარ ყურაშვილი).

მესამე ადგილისთვის მცხეთისა და თბილისის ფალავნები იბრძოდნენ. მცხეთელებს ოდნავ უკეთესი მაჩვენებლები აღმოაჩნდათ და მესამე ადგილიც მათ მიენიჭათ.

შეჯიბრება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაღალ ორგანიზაციულ დონეზე და საინტერესოდ ჩატარდა, რაც პირველ რიგში მონაწილეთა კარგი მომზადებით უნდა ავხსნათ. მაყურებელთა ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა კასპელ ქიტესა ხოდელის ჭიდაობამ. მან ყველა ბრძოლა ალმავლობით ჩაატარა და ამიტომაც სხვებისგან გამორჩეული იყო.

სამართლიანი გაოცება გამოიწვია იმან, რომ სეზონის ამ ერთ-ერთ უმთავრეს ტურნირში მონაწილეობას თავი აარიდეს გორისა და რუსთავის გუნდებმა. საინტერესოა სად უნდა გამოსცადონ ამ ქალაქების მოჭიდავეებმა თავიანთი ოსტატობა და შესაძლებლობა თუ არა რესპუბლიკურ ჩემპიონატში?

**სიმონ მაისურაძე.**

• • •



**სურათზე: კასპის გუნდი, რომელმაც გაიმარჯვა საქართველოს ჩემპიონატში და გარდამავალი თასი მოიპოვა (პირველ რიგში, მარცხნიდან): დურმიშხან ჯანიაშვილი, ზაზა გუგულაშვილი, დავით დემეტრაშვილი, მწვრთნელები — ლავრენტი კაციაშვილი და ოთარ ყურაშვილი. მეორე რიგში: გია ჯალალი, გიორგი გორგაძე, ქიტესა ხოდელი, გოჩა მამულაშვილი და ნუგზარ მამულაშვილი.**

# ძალოსნობის [illegible]

ამ ბოლო დროს ძალოსანთა შეჯიბრებები რატომღაც ვალმოსახდელ ღონისძიებად იქცა. გამონაკლისი არც ახლახან ცხინვალში ჩატარებული საქართველოს თასის გათამაშება იყო: ასპარეზობაზე სრული შემადგენლობით მხოლოდ თბილისის, სამხრეთ ოსეთისა და ქუთაისის გუნდები წარსდგნენ (თუმცა 110 კგ წონით კატეგორიაში ძალოსნები არც მათ გამოუყვანიათ). დანარჩენმა გუნდებმა 2–3 სპორტსმენი გამოიყვანეს სარბიელზე. აფხაზეთიდან კი საერთოდ არავინ ჩამოსულა შეჯიბრებაზე, დღეს, როდესაც ქართულ ძალოსნობას უჭირს, მსგავსი გულგრილობა შეჯიბრებისადმი დანაშაულია. ასეთი რანგის ასპარეზობაზე თუ არა, სხვაგან სად უნდა აიმაღლოს ოსტატობა სპორტსმენმა. თანაც შეჯიბრება ხომ ყველაზე დიდი პროპაგანდისტია სპორტის ამა თუ იმ სახეობისა და ახალგაზრდა სპორტსმენთა უნარის ყველაზე საუკეთესო შემფასებელიც. შეჯიბრების ტექნიკური შედეგების კომენტირება ვთხოვეთ საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტის მთავარ მწვრთნელს ძალოსნობაში, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვლადიმერ სვეტილკოს:

— შეჯიბრებაში სულ 38 ძალოსანი მონაწილეობდა. შვიდმა ძალოსანმა სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა, აქედან სამმა — ცხინვალელმა კახა კახიაშვილმა (75 კგ წონითი კატეგორია, მწვრთნელი ივანე გრიქუროვი), ზუგდიდელმა ხვიჩა ქობალიამ (90 კგ, მწვრთნელები ჯუმბერ მამფორია და შოთა წერეთელი) და თბილისელმა კახა მისერელმა (100 კგ. მწვრთნელი ამირან ჩიტაძე) — პირველად. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: 52 კგ წონაში პირველობა მოიპოვა რუსთაველმა 16 წლის გარიკ ტირობიანმა, რომელმაც ორჭიდში 167,5 კგ შტანგა დაიმორჩილა. ეს შედეგი მეორე თანრიგის ნორმატივია, მაგრამ ამ ასაკის ბიჭისთვის მძიმე ტვირთია, 56 წონით კატეგორიაში ასევე რუსთაველმა ძალოსანმა, 17 წლის [illegible] მახმუდოვმა გაიმარჯვა (197,5). ეს პირველი თანრიგის ნორმატივია. 66 კგ წონაში ასევე პირველი თანრიგის ნორმატივით მოიგო შეჯიბრება მცხეთელმა ფრიდონ პაპულაშვილმა. შედარებით სუსტად გამოვიდა სპორტის ოსტატი ელგუჯა მინაძე. მას მხოლოდ 2,5 კგ დააკლდა იმისათვის, რომ წოდება დაეცვა. დანარჩენ წონით კატეგორიაში ძალოსნებმა სპორტის ოსტატის ნორმატივით გაიმარჯვეს, საინტერესოა, რომ 75, 82,5 და 90 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებულებმა დმანისელმა ხანარ ნაბიევმა, თბილისელმა რომან პატარკაციშვილმა და ზუგდიდელმა ხვიჩა ქობალიამ ორჭიდის ჯამში ერთი და იგივე წონა 325 კგ დასძლიეს. 100 კგ წონით კატეგორიაში პირველობა არავის დაუთმო მასპინძელთა გუნდის წევრმა ახსაზეკ ტასოევმა. მან 355 კგ ასწია და მოსკოვში ხალხთა IX სპარტაკიადაზე ნაჩვენები შედეგი გაიმეორა. 110 კგ-ის ზევით წონით კატეგორიაში საჩხერელმა ათლეტმა კობა ტალახაძემ დიდი უპირატესობით მოიგო (365 კგ) შეჯიბრება. ამ სპორტსმენისგან მომავალში უფრო დიდ წარმატებებს ველით.

რაც შეეხება გუნდურ შედეგებს, აქ საპრიზო ადგილებზე, ცხადია ის გუნდები გავიდნენ, რომელთა შემადგენლობაში უფრო მეტი სპორტსმენი იყო. პირველ ადგილზე გავიდა თბილისი — 1233 ქულა, მეორეზე—სამხრეთ ოსეთი — 996, მესამე ადგილი ქუთაისის გუნდმა დაიკავა — 598: სამწუხაროდ, საპრიზო სამეულის ხშირი წევრი, საჩხერის გუნდი მხოლოდ მე-8 ადგილით დაკმაყოფილდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ გუნდში მხოლოდ 2 სპორტსმენი იყო. შეჯიბრებამ დაგვანახა, რომ საკმაოდ ნიჭიერი სპორტსმენები გვყავს და მათთან სერიოზული მუშაობით მომავალში მეტის გაკეთება შეიძლება.

**ჯემალ კასრაძე.**

## სტუდენტური სპორტი-86

# ყველას ეკონომისტებმა აჯობეს

### თბილისის უნივერსიტეტის პირველკურსელთა სპარტაკიადა

**ათ წელზე მეტია, რაც თბილისის უნივერსიტეტში პირველკურსელთა სპარტაკიადები ტარდება. ამ ხნის მანძილზე ბევრი ისეთი სტუდენტი სპორტსმენი გამოვლინდა, ვისაც სხვადასხვა ღონისძიებებში მრავალჯერ დაუცავს უნივერსიტეტის ღირსება. უნივერსიტეტის ფიზაღზრდის კათედრამ წელსაც ჩაატარა ასეთი ღონისძიება.**

სპარტაკიადის პირველი ეტაპი სექტემბერში დამთავრდა, ფაკულტეტებს შორის გამარჯვებულები მეორე ეტაპზე გავიდნენ და ფინალურ შეჯიბრებაში ჩაებნენ.

სპარტაკიადაში, რომლის პროგრამაში იყო ცურვა, ხელყუმბარის ტყორცნა და ტყვიის სროლა, უნივერსიტეტის 16 ფაკულტეტი მონაწილეობდა. საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა აჯობეს. მეორე ადგილზე ვაჭრობის, ხოლო III — ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტები გავიდნენ.

სტუდენტები ხუთი უნივერსიტეტის მძლეოსანთა ტრადიციულ სამატჩო შეხვედრაშიც მონაწილეობდნენ. მალე მათ „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს სტუდენტური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული მოცურავეთა შეჯიბრება დაეწყებათ.

**ლამარა ხეცურიანი,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზაღზრდის კათედრის მასწავლებელი.**

## ხუთი მედალოსანი ინტერნატიდან

კლასიკური ჭიდაობა დიდი პოპულარობით სარგებლობს ულიანოვსკში. აქ ხშირად იმართება შეჯიბრებები. ახლახან აქ ჩატარდა სსრ კავშირის გმირის, გენერალ-მაიორ ი. პოლბინის სახელობის VII საკავშირო ტურნირი. შეჯიბრებაში, რომელშიც 1969–70 წლებში დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ, 300-ზე მეტი ჭაბუკი ჩაება. მათ შორის იყვნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც — სპორტული პროფილის რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატის 12 სპორტსმენი.

გიორგი ივანაშვილმა (48 კილოგრამი) ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი. მეორე ადგილები დაიკავეს კახაბერ ლექავამ (70 კგ), დავით ქარსანაშვილმა (97 კგ) და დავით კუპრაძემ (მძიმე), მესამე ადგილზე ბორის ბერაძე (87 კგ) გავიდა.

**გაბრიელ ბარჯაძე.**

# ედენას მთაზე

**ონელი** ფიზკულტურელები ხშირად აწყობენ ტურისტულ ლაშქრობებს. ახლახან ამ რაიონში მოეწყო მასობრივი ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: ონი — გორის ბოლო — ედენა—გორის ბოლო — ონი. ლაშქრობაში, რომელსაც ონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე შ. ქოჩლაძე ხელმძღვანელობდა, მონაწილეობდნენ სპორტსმენები, მუშა-მოსამსახურეები, ონის მე-2 საშუალო სკოლის IX-X კლასის მოსწავლეები. მათ გულთბილად შეხვდა და ლაშქრობის წარმატებით ჩატარებაში აქტიური დახმარება გაუწია ღების ტურბაზამ (დირექტორი ბაგრატ გობეჯიშვილი).

ედენას მთისკენ დაძრულ ტურისტთა ჯგუფი 3300 მეტრზე მდებარე მყინვართან შეთხელდა. აქ შედგა მთის წვერზე ამსვლელთა ჯგუფი, ზაურ ორდინიძის, გიორგი ბერიშვილის, თემურ დგვარელის, რომან მაისურაძის, ზაურ გუგეშაშვილის, ზაურ ჯაფარიძის და ზაურ კერესელიძის შემადგენლობით. ჯგუფს გაუძღვა ონის სპორტსკოლის დირექტორი შურა მაისურაძე. არ იყო ადვილი მწვერვალზე ასვლა, მაგრამ მოლაშქრეებმა მიზანს მიაღწიეს.

ეს ლაშქრობა ონელებმა სერგო ორჯონიკიძის დაბადების 100 წლისთავს მიუძღვნეს.

**ნესტორ დუშუაშვილი,**
**„ლელოს“ კორ.**

**ონი.**

## მოკლედ

**საბურთალოს** რაიონში, გამსახურდიას ქუჩაზე, მე-9 კორპუსის წინ მოეწყო შეჯიბრება მინი-ფეხბურთში. პავლოვისა (№ 1, 3, 29) და ცაგერის (№ 4) ქუჩების მცხოვრებლებმა შეჯიბრებები გამართეს ჭადრაკში, შაშში, მაგიდის ჩოგბურთში, ღონისძიება კიროვისა და საბურთალოს რაიონების ნორჩ ფეხბურთელთა შეხვედრით დასრულდა. შეჯიბრებათა ორგანიზაციას კარგად გაართვეს თავი 76-ე, 81-ე და 86-ე საბინაო-საექსპლოატაციო უბნებმა.

* * *

**3 ნოემბერს** ბათუმში დაიწყება ტრადიციული საკავშირო ტურნირი მინი-ფეხბურთში ჭაბუკთა შორის საქართველოს საყოფაცხოვრებო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს გარდამავალ თასზე. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის, რუსთავის, აგრეთვე მოსკოვის, ლენინგრადის, მინსკის, კიევის, ერევნის, ბაქოს, რიგის, ტალინის, ვილნიუსისა და კიშინიოვის საყოფაცხოვრებო-საექსპლოატაციო ორგანიზაციების ნაკრები გუნდები. ასპარეზობა 10 ნოემბრამდე. გასტანს.

**„ლელოს“ კორ.**

# წყლის „ბილიკებიდან“ დანახული საქართველო

**ქუთაისის ტყავფეხსაცმელების კომბინატში 15 წელია, რაც საწყლოსნო ტურიზმის სექცია ჩამოყალიბდა. მოგზაურობის მოყვარულებმა ამ ხნის მანძილზე არაერთი საინტერესო ლაშქრობა მოაწყვეს და პნევმატური პონტონებით საქართველოს ბევრ მდინარეზეც იმოგზაურეს.**

ამ დღეებში საწყლოსნო ტურიზმის სექციის წევრებმა: რ. სვანაძემ (ხელმძღვანელი), მ. ჭეიშვილმა, ს. ფხაკაძემ, ზ. გოგავამ, გ. წერეთელმა, გ. აროშიძემ, დ. ჩიხლაძემ, გ. ჩუბინიძემ, მ. კაცაძემ, ს. კაშიბაძემ, რ. ჩხიკვაძემ, კ. გოგატაძემ და გ. ნიკოლეიშვილმა რიონზე მოგზაურობის შემდეგ საინტერესო ხუთდღიანი ლაშქრობა მოაწყვეს მდინარე მტკვარზე მარშრუტით: ვარძია — აწყური — ბორჯომი — მცხეთა — თბილისი და ეს მოგზაურობა ვარძიის 800 წლისთავს მიუძღვნეს.

შთაბეჭდილებებს გვიზიარებს კომბინატის მოწინავე მუშა, საწყლოსნო ტურიზმის სექციის წევრი ს. ფხაკაძე.

— მისი დაარსების დღიდან ამ სექციის წევრი ვარ. თითქმის მთელი საქართველო ნავით „შემოვიარე“. მოგზაურობიდან დაბრუნებულს ჩემზე ბედნიერი კაცი თუ დადიოდა ქვეყანაზე, არ მეგონა. დღემდე ჯანმრთელად და მხნედ ვგრძნობ თავს, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ კაცი მაშინაა ბედნიერი, როცა მშობლიური ქვეყნის სილამაზის დანახვის უნარი აქვს. გარწმუნებთ, წყლის „ბილიკებიდან“ დანახული საქართველო კიდევ უფრო ლამაზია.



განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ჩემთვის მოგზაურობა ვარძიიდან თბილისამდე. აღგვაფრთოვანა ჩვენი წინაპრების საოცარმა ქმნილებამ — კლდეში გამოკვეთილმა ციხე-ქალაქმა. ლაშქრობის მონაწილეებმა გზაზე ბევრი რამ ღირსშესანიშნავი ვნახეთ, ვნახეთ როგორ შენდება და მშვენდება ჩვენი სოფლები და ქალაქები. დიახ, ეს იყო მოგზაურობა წარსულსა და დღევანდელობაში. ტურისტული ლაშქრობის მიზანიც ხომ ესაა — მოგზაურებმა ჯანმრთელობის გაკაჟებასთან ერთად უკეთ გაიცნონ მშობლიური ქვეყანა.

**თამაზ კოლხიდელი,**
**(„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი).**

**ქუთაისი.**

# შტუტგარტი-86

# ექვსი დღე ნეკარშტადიონზე



ევროპის მძლეოსანთა რიგით მე-14 ჩემპიონატი თვენახევრის წინ დამთავრდა, მაგრამ ასეთ მნიშვნელოვან შეჯიბრებას ასე მალე არავინ ივიწყებს. სპეციალისტებს კიდევ დიდხანს ექნებათ სჯა-ბაასი შტუტგარტში გამართული სტარტების ირგვლივ. ეჭვი არ არის, რომ მარტო ევროპის კი არა, მსოფლიოს ბევრი უძლიერესი მძლეოსანი სწორედ ამ ასპარეზობის შედეგების გაანალიზების საფუძველზე ააგებს თავისი მზადების გეგმას მომავალი ოლიმპიური თამაშებისათვის.

შტუტგარტი ბადენ-ვიურტემბერგის მიწის მთავარი ქალაქია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხრეთში. მეათე საუკუნეში დაარსებული ქალაქი ამჟამად 600 ათას მცხოვრებს ითვლის. აქ, „მერსედესის", სიმენსის, ბოშის და სხვა უმსხვილეს ფირმათა საწარმოებია და ადგილობრივ მცხოვრებლებს, სხვებისგან განსხვავებით, უმუშევრობის პრობლემა ნაკლებად აწუხებთ.

ჩვენებური კაცის თვალი ბადენ-ვიურტემბერგს მეზობელი ბავარიისაგან იმით გამოარჩევს, რომ ლუდის დასამზადებლად საჭირო სვიით მოფენილი მინდვრების გარდა, აქ ვენახსაც ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით. შტუტგარტის ცნობილ ნეკარშტადიონსაც კი, რომელიც დიდსა და პატარა სპორტულ მოედნებს შორისაა ჩაჯდარი, ერთი მხრიდან ვენახების ტერასები აკრავს, მეორედან — მდინარე ნეკარი. ქალაქში სეირნობისას, ფეშენებლური სახლების მწკრივის ბოლოს შესაძლოა ვენახის ფერდობი შემოგხვდეთ და მერე ისევ ევროპული ქალაქის ცენტრში ამოჰყოფთ თავს. შტუტგარტი მწვანე ქალაქია, მთიდან თუ გამოხედავთ, ამ მწვანე ზღვაში ქალაქის დანაწევრებული კვარტლები პატარა კუნძულებივით მოჩანს.

ევროპის ჩემპიონატი ცნობილ დღესასწაულს „შტუტგარტის ევროპულ ღამეებს" დაემთხვა. ქალაქის ქუჩები ღამით ვეებერთელა საკონცერტო დარბაზს და ამავე დროს ღვინის სუფრასაც მოგაგონებდათ. შტუტგარტელების ზეიმი მაინც თავისი მასშტაბით ვერ შედრება მიუნჰენის ცნობილ „ოქტომბრის დღესასწაულს".

დიდი დღესასწაული — ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატი იყო ნეკარშტადიონზეც. შეჯიბრების პირველი ორი დღის გარდა 70-ათასიან სტადიონზე ნემსი არ ჩავარდებოდა. თვით საკვალიფიკაციო შეჯიბრებასაც კი დილით 40 ათასამდე მაყურებელი ადევნებდა თვალს. არადა, ბილეთის ფასი — 40 მარკა (20 დოლარი) საგრძნობლად „წვავდა ჯიბეს", მაგრამ პრაქტიკულმა გერმანელმა მაყურებელმა კარგად იცოდა რისთვის იხდიდა ფულს. შტუტგარტელ გულშემატკივრებს კარგად ესმით მძლეოსნობის ყადრი და სპორტსმენებისაგან, თავისიანებისაგანაც და სხვებისაგანაც, რომელთაც აქტიურად უჭერენ მხარს, მაღალ შედეგებს მოითხოვენ. უნდა გენახათ, როგორ აგულიანებდნენ ისინი მსოფლიო რეკორდსმენს, ნორვეგიელ ინგრიდ ქრისტიანსენს, როდესაც იგი 10 კილომეტრზე რბენაში ახალი რეკორდის დამყარებას ცდილობდა: გამამხნევებელი შეძახილები ჯერ ყიჟინაში, მერე უწყვეტ გუგუნში გადაიზარდა, როდესაც შეჯიბრებამ კულმინაციურ ფაზას მიაღწია, შტუტგარტელებმა თავიანთ „საფირმო ილეთს" მიმართეს, მაყურებელთა მთელი მწკრივები ერთმანეთის მიყოლებით ფეხზე დგებოდნენ, ხელებს მაღლა სწევდნენ და სტადიონს თითქოს ცოცხალი ტალღა უვლიდა. ლამაზი სანახავი იყო!

ერთი სიტყვით, მაყურებელთა მხარდაჭერა არავის მოკლებია, მათ შორის საბჭოთა სპორტსმენებს. სტადიონი თითქოს აფეთქდა, როდესაც სერგეი ბუბკამ ორი წარუმატებელი ცდის შემდეგ როგორც იქნა გადალახა საწყისი სიმაღლე და ბრძოლის გაგრძელების უფლება მოიპოვა. მაყურებლები ტაშით შეეგებნენ იტალიელ მარათონელთა წყვილს, გელინდო ბორდინსა და ორლანდო პიცოლატოს, რომლებიც პირველნი შემოიჭრნენ სტადიონზე, არადა მათ რამდენიმე ათეული მეტრის მოშორებით დასავლეთგერმანელი მორბენლები, ჰერბერტ შტეფენი და რალფ სალმანი მოსდევდნენ.

საერთოდ, ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატი, ფეხბურთელთა ტურნირის მსგავსად, გამორჩეულად დგას ძველი კონტინენტის სხვა შეჯიბრებებისაგან. იგი ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება და ოლიმპიადების შემდეგ ათეული წლების განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვანი ასპარეზობა იყო მძლეოსნებისათვის. მის პოპულარობას საფუძველი ვერ შეურყია ვერც მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატმა, რომელიც 1983 წელს ჩატარდა პირველად. ევროპის ჩემპიონატი დარჩა იმ „ძველ ჩემპიონატად", რომელშიც გამარჯვება ნებისმიერ, საქვეყნოდ ცნობილ ათლეტს ემაყება. შტუტგარტშიც რამდენჯერ გავხდით იმის მოწმე, თუ როგორ განიცდიდნენ მარცხს თვით მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონები, რომელთაც ამჯერად ხელი მოეცარათ.

იმისათვის, რომ ჩვენს მტკიცებას უფრო გავუმაგროთ ზურგი, ერთ ფაქტს მოვიყვანთ: ჩემპიონატს 1300-ზე მეტი პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენელი აშუქებდა, იმაზე მეტი, ვიდრე შეჯიბრებაში მონაწილეობდა და გაცილებით მეტი, ვიდრე საწყლოსნო სახეობაში ჩატარებულ მადრიდის მსოფლიო ჩემპიონატზე იყვნენ აკრედიტებულნი. შტუტგარტში „ჟურნალისტთა მარათონი" შეჯიბრებამდე ერთი დღით ადრე, საინტერესო ვითარებაში გაიხსნა: ქალაქის მერმა მანფრედ რომელმა, საგანგებოდ მოწყობილ წვეულებაზე გრძელი სიტყვა წარმოთქვა, შემდეგ კი ჯიბიდან ვეებერთელა რევოლვერი დააძრო. წინა რიგში მსხდომთ, განსაკუთრებით მათ, ვინც გერმანული არ იცოდა, ფერი ეცვალა, მაგრამ ქალაქის თავმა იარაღი ჰაერში შემართა და დააქუხა. დიახ, პისტოლეტი, მესტარტის იყო და ამ სიმბოლური გასროლით სტარტი მიეცა ინფორმაციის წარმომადგენელთა დაძაბულ მუშაობას ჩემპიონატზე.

რადგან პრესის წარმომადგენლებზე ჩამოვარდა სიტყვა, აქ ალბათ ჩემპიონატის ორგანიზაციაზე და ჟურნალისტთა სამუშაო პირობებზეც უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა. კაცმა რომ თქვას, ფაქტიურად უკვე ზედმეტი გახდა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებების ორგანიზაციაზე საუბარი. ისინი, როგორც წესი, ყოველთვის მაღალ დონეზე ტარდება. თუ მასპინძელ ქვეყანას მაღალკვალიფიციური მსაჯები და სპეციალისტები საჭირო რაოდენობით არ ჰყავს, მათ სხვა ქვეყნებიდან იწვევენ. არც თანამედროვე დანადგარების შოვნა უჭირთ. მთავარი სახსრებია. სახსრებს კი ასპარეზობის ორგანიზატორები უხვად იღებენ სხვადასხვა ფირმებიდან, რომლებიც ხალისით სთავაზობენ მათ თავიანთ სამსახურს. რასაკვირველია ისინი ქველმოქმედებისაგან შორს დგანან, კარგად იციან რას აკეთებენ. მართალია, მოყვარულ სპორტსმენებს სხვადასხვა საქონლის რეკლამა ეკრძალებათ, მაგრამ ტელევიზიით მათი ფირნიშების ხშირი ჩვენება და სხვა „შეუმჩნეველი" წვრილმანები თავის საქმეს მაინც აკეთებს. ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატსაც ერთბაშად 10 სპონსორი ჰყავდა, მათ შორის ისეთი ცნობილი გიგანტები, როგორიცაა „ადიდასი", „მერსედეს ბენცი", „კოდაკი", „ომეგა", „კოკა-კოლა" და ა. შ. ჩემპიონატის პრესის შეფი ფირმა იბმ კი პირდაპირ ტყავში ძვრებოდა იმისთვის, რომ ოპერატიულობით იაპონელი და სხვა ქვეყნების კოლეგა-კონკურენტებისათვის ეჯობნა. ყოველი ფინალური გარბენის დამთავრებიდან 15-20 წუთის შემდეგ ყოველ ჟურნალისტს შედეგების ფურცელთან ერთად მაგიდაზე ედო გერმანულ და ინგლისურ ენაზე დაბეჭდილი მოკლე ინტერვიუ შეჯიბრების პრიზიორთან. თითოეული ჟურნალისტის მაგიდასთან დამაგრებულ ტელევიზორში ორი არხით შეჯიბრების ფრაგმენტებს აჩვენებდნენ, დანარჩენი ათით — სატურნირო ცხრილების ცვალებადობას ცალკეულ სახეობათა მიხედვით.

აქ ალბათ ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას, დასავლეთის სპორტული პრესა ძალიან აფასებს „ცოცხალ აზრს" — თვით სპორტსმენის მიერ გამოთქმულ პროგნოზს და მის შთაბეჭდილებას შეჯიბრების დამთავრების შემდეგ. ასპარეზობის მსვლელობისას ტელევიზორში ხშირად აჩვენებდნენ ფავორიტებთან სტარტის წინ აღებულ ინტერვიუს, ბრძოლის დასასრულს კი ტელემაყურებელი ეკრანზე კვლავ გამარჯვებულთან მოსაუბრე კომენტატორს ხედავდა. უნდა ითქვას, რომ სპორტსმენებიც და მწვრთნელებიც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენელთა თხოვნას. ინტერვიუზე უყოყმანოდ თანხმდებოდა თვით არაქათგამოცლილი მარათონელიც და მუდამ მოუცლელი მწვრთნელიც. ეს მარტო მძლეოსნებზე არ ითქმის. ბუნდესლიგის პირველობის ყოველი მატჩის შემდეგ, როგორც წესი, ტელეკომენტატორს ინტერვიუს აძლევენ ორივე გუნდის მწვრთნელები და ის ფეხბურთელები, რომლებმაც იმ დღეს გამოიჩინეს თავი.

შტუტგარტში ტრადიციისამებრ ევროპის ყველა უძლიერესმა მძლეოსანმა მოიყარა თავი, მაყურებლებს თვალში მოაკლდათ მხოლოდ სახელგანთქმული მსოფლიო რეკორდსმენი, შუბისმტყორცნელი უვე ჰონი, რომელმაც მიღებული ტრავმის გამო ვერ შეძლო შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება. ასპარეზობის მთავარ ფავორიტებად, ცხადია, საბჭოთა კავშირისა და გდრ-ის მძლეოსნები ითვლებოდნენ და გუნდური გამარჯვებისათვის ბრძოლაც ამ ორი ქვეყნის ნაკრებებს შორის გაიმართა. მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატების 54-წლიანი მონაკვეთის მანძილზე (პირველი ასეთი შეჯიბრება 1934 წელს გაიმართა ტურინში) ყველაზე მეტი მედალი სწორედ ამ ორი ქვეყნის სპორტსმენებს აქვთ მოპოვებული. შტუტგარტის ჯილდოებამდე საბჭოთა სპორტსმენებს 103 ოქროს, 88 ვერცხლისა და 84 ბრინჯაოს მედალი ჰქონდათ მოპოვებული. (საბჭოთა მძლეოსნებმა პირველად ოსლოში გამართულ ევროპის მესამე ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა. მაშინ ჩვენს გუნდს ერთ-ერთი პირველი ოქროს მედალი მოუპოვა ნინა დუმბაძემ, რომელმაც 44,52 მეტრზე სტყორცნა ბადრო და მთელი 4,06 მეტრით ჩამოიტოვა შეჯიბრების ვერცხლის მედალოსანი ჰოლანდიელი ანსი ჰეისნკი). გდრ-ის სპორტსმენებს ([illegible], ევროპის ჩემპიონატებში ცალკე გუნდად 1958 წლიდან ასპარეზობენ) 67 ოქროს, 59 ვერცხლისა და 47 ბრინჯაოს მედალი [illegible]. მაგრამ ბოლოდროინდელი სტატისტიკური მონაცემები აშკარად ამ ქვეყნის მძლეოსანთა სასარგებლოდ მეტყველებს: ბოლო ხუთ ჩემპიონატში გუნდური პირველი ადგილი ოთხჯერ გდრ-ის ნაკრებმა დაისაკუთრა.

შტუტგარტში შეჯიბრების პირველი ორი დღე ძველი „სცენარით" წარიმართა. საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს იგორ ტერ-ოვანესიანს დანა პირს არ უხსნიდა. ორი დღე ისე გავიდა, ჩვენს გუნდს ოქროს მედალი არ მიუღია. არადა, რა იმედით მიემგზავრებოდა გერმანიაში: უკანასკნელ საწვრთნელ შეკრებაზე ნაკრების წევრებმა მართლაც ბრწყინვალე მომზადება გამოავლინეს. ზოგიერთი სპეციალისტი იმასაც ფიქრობდა, რომ შტუტგარტში გუნდი სულ მცირე 20 უმაღლეს ჯილდოს მოიპოვებდა (ევროპის უკანასკნელი ჩემპიონატიდან, რომელიც ათენში გაიმართა, ჩვენმა სპორტსმენებმა მხოლოდ 6 ოქროს მედალი ჩამოიტანეს), თუმცა შემდეგ, უფრო სალი თვალით შეაფასეს თავიანთი შესაძლებლობა და 12 ოქროს მედლის მოპოვება ივალდებულეს. ახლა კი ასეთი დასაწყისი... ჩემპიონატი სულ ექვს დღეს გრძელდება და პირველი ორი დღის „ნულოვანი შედეგი" ვის არ გამოიყვანდა წონასწორობიდან, მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა: საბჭოთა ნაკრებმა თანდათან „გამოაჩინა კლანჭები" და ტრიუმფით დაასრულა გამოსვლა — გუნდურ ჩათვლაში გდრ-ის გუნდს აჯობა. ეს სენსაცია იყო!

ამჟამად სპორტის და კერძოდ მძლეოსნობის დონე იმდენად მაღალია მსოფლიოში, რომ თვისობრივი ნახტომის ერთბაშად გაკეთება წარმოუდგენელ წინსვლად ითვლება. ახლა თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნის მძლეოსანთა ნაკრებში პერსპექტიულ სპორტსმენთა მთელი არმია იყრის თავს. ამას უზრუნველყოფს თითოეული ქვეყნების მძლეოსნობის განვითარების ინფრასტრუქტურა. გუნდის ხელმძღვანელთა ყველაზე ძნელი ამოცანა ამ ახალგაზრდების მსოფლიო კლასის ათლეტებად აღზრდაა. თანაც ეს პროცესი თანდათან რთულდება. მეცნიერთა, მედიცინის მუშაკთა, მწვრთნელთა მთელი ლაშქარი ადამიანის ორგანიზმს სწავლობს, მის შესაძლებლობებს იკვლევს. შეცდომებსაც უშვებენ, მაგრამ წინსვლა აშკარაა — განუხრელად იზრდება მძლეოსანთა შედეგები. ვარჯიშის მეთოდიკები ძალიან დაიხვეწა და წინსვლის საშუალებას ახლა სპორტსმენის კვებაში, მის ვიტამინებით ჭარბად მომარაგებაში, ფსიქოლოგიაში ეძებენ...

გიორგი ჩოჩიშვილი,
„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი.
შტუტგარტი — თბილისი.

(დასასრული იქნება).

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში 49

უმაღლესი ლიგა

განვლილ კვირას შედგა ფეხბურთში სსრ კავშირის 49-ე ჩემპიონატის 26-ე ტურის ბოლო 3 მატჩი.

„დინამო" მ. — „შახტიორი" — 3:0, „ქაირათი" — „არარატი" 3:0, „ზენიტი" — „ჩერნომორეცი" 2:2.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 ოქტომბრისთვის ⊙ ძირითადი შემადგენლობანი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. „სპარტაკი" (მოსკოვი) | 26 | 11 | 8 | 7 | 41-19 | 30 | (—22) |
| 2. „დინამო" (მოსკოვი) | 24 | 10 | 10 | 4 | 30-21 | 30 | (—18) |
| 3. „ზენიტი" (ლენინგრადი) | 25 | 10 | 9 | 6 | 36-24 | 29 | (—21) |
| 4. „დინამო" (თბილისი) | 26 | 10 | 8 | 8 | 29-31 | 28 | (—24) |
| 5. „შახტიორი" (დონეცკი) | 26 | 9 | 9 | 8 | 35-30 | 27 | (—25) |
| 6. „დინამო" (კიევი) | 21 | 9 | 8 | 4 | 34-22 | 26 | (—16) |
| 7. „დინამო" (მინსკი) | 26 | 9 | 8 | 9 | 28-33 | 26 | (—26) |
| 8. „ტორპედო" (მოსკოვი) | 27 | 8 | 11 | 8 | 28-27 | 26 | (—28) |
| 9. „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 26 | 7 | 11 | 8 | 33-33 | 25 | (—27) |
| 10. „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 26 | 9 | 7 | 10 | 25-29 | 25 | (—27) |
| 11. „ქაირათი" (ალმა-ათა) | 26 | 9 | 7 | 10 | 26-33 | 25 | (—27) |
| 12. „არარატი" (ერევანი) | 26 | 8 | 8 | 10 | 20-27 | 24 | (—28) |
| 13. „ნეფთჩი" (ბაქო) | 26 | 7 | 11 | 8 | 30-31 | 24 | (—28) |
| 14. „მეტალისტი" (ხარკოვი) | 25 | 7 | 9 | 9 | 17-19 | 23 | (—27) |
| 15. „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 26 | 7 | 7 | 12 | 24-31 | 21 | (—31) |
| 16. „ტორპედო" (ქუთაისი) | 26 | 5 | 7 | 14 | 24-50 | 17 | (—35) |

შენიშვნა: დნეპროპეტროვსკის „დნეპრი" მეორე გუნდია უმაღლეს ლიგაში, რომელმაც ფრეების ლიმიტს გადააჭარბა, მაგრამ სსრ კავშირის ნაკრებში მისი მოთამაშეების მონაწილეობის გამო ამ გუნდს 3 „შეღავათიანი" ფრე აქვს, ამიტომ, დებულების შესაბამისად, მას „ჟალგირისთან" ფრედ ნათამაშევი მატჩისთვის ქულა ჩაეთვალა.

## საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას შედგა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის VI ტურის შეხვედრები I ლიგის გუნდებს შორის.

### I-XIII ადგილები

„სულორი" (ვანი) — „კახეთი" (თელავი) 2:0, „ივერია" (ხაშური) — „შადრევანი" (წყალტუბო) 0:1, „მადნეული" (ბოლნისი) — „სამგურელო" (ჩხოროწყუ) 3:0, „შევარდენი"-სპი (თბილისი) — „დინამო" (ზუგდიდი) 1:0, „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 3:2.

### XIII-XXIII ადგილები

„საპოვნელა" (თერჯოლა) — „დურუჯი" (ყვარელი) 1:0, „დინამო" (გაგრა) — „იმედი" (თბილისი) 3:1, „სალხინო" (გეგეჭკორი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 4:1, „სპარტაკი" (ცხინვალი) — „მერცხალი" (მახარაძე) 2:1, „ქართლი" (გორის რ-ნი) — „სქური" (წალენჯიხა) 0:0.

## I ლიგა

### „დაუგავა" — ცსკა

გუშინ რიგაში გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მატჩი ლიდერთა ჯგუფის გუნდებს შორის! ერთმანეთს შეხვდნენ „დაუგავა" (რიგა) — ცსკა. თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

## II ლიგა

გუშინ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე შედგა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების ბოლო ტურის კალენდარული მატჩი. ადგილობრივმა „ლოკომოტივმა" მიიღო მინგეჩაურის „ავტომობილისტი".

მატჩის შედეგია ფრე — 1:1.

### 14 დეკემბერს, ტოკიოში

საკონტინენტთაშორისო თასზე ფეხბურთში წლეულს ერთმანეთს უნდა შეხვდნენ ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი „სტიაუა" (ბუქარესტი) და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის მფლობელი. რუმინელ ფეხბურთელთა მეტოქე უახლოეს დღეებში გამოვლინდება არგენტინის „რივერ პლეიტისა" და კოლუმბიის „ამერიკა კალის" შეხვედრაში.

საკონტინენტთაშორისო მატჩი 14 დეკემბერს გაიმართება ტოკიოში.


ფეხბურთი

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატები ჭადრაკში

## ნამდვილი და პოტენციური ლიდერები

**ფრუნზე, 20 ოქტომბერი (დეპეშით, „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი).** ყირგიზეთის დედაქალაქში გათამაშდა VII ტურის შეხვედრები. ლელჩუკმა მოუგო არახამიას (ეს ქართველი მოჭადრაკის პირველი მარცხია ჩემპიონატში), მატვეევამ — პრუდნიკოვას, ლევიტინა დამარცხდა სახატოვასთან. დაზავდნენ ვორონოვა-უსკოვა და ბაგინსკაიტე-მუჩნიკი. იოსელიანს შავებით 2 ზედმეტი პაიკი აქვს სემიონოვასთან გადადებულ პარტიაში, გურიელის უპირატესობა აშკარაა ლაგვილავასთან გადადებულ პოზიციაში.

IV ტურის გამოტოვებული პარტია პრუდნიკოვასა და გურიელს შორის 18 ოქტომბერს, ტურნირის დასვენების დღეს გაიმართა. გაიმარჯვა თბილისელმა დიდოსტატმა.

7 ტურის შემდეგ დაწინაურდა ლვოველი მოჭადრაკე ზოია ლელჩუკი — 5,5 ქულა. მას ნახევარ-ნახევარი ქულით და თითო გადადებული პარტიით ჩამორჩებიან ნანა იოსელიანი და ნინო გურიელი, მაგრამ ვინაიდან ორივე ქართველ დიდოსტატს საგრძნობი უპირატესობით აქვს პარტია გადადებული, უნდა ჩავთვალოთ, რომ ისინი ჩემპიონატის პოტენციური ლიდერები არიან. ქეთევან არახამიამ ჯერჯერობით 4,5 ქულა მოაგროვა, ლენინგრადელმა ირინა ლევიტინამ — 4. ოღონდ აქ ისიცაა სათქმელი, რომ არახამიას 6 პარტია აქვს ნათამაშევი (მისი პარტია ლიტინსკაიასთან გაუქმდა იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი გამოეთიშა ჩემპიონატს, რის შესახებაც ჩვენ უკვე ვწერდით). ცხრილის სათავეში მყოფმა მოთამაშეებმა 7-7 პარტია გაითამაშეს, ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ არახამიაც ერთ-ერთი პოტენციური ლიდერია.

**იაკობ ლაპიდუსი.**

## რვა ტურის შემდეგ

**როგორც იცით, ირკუტსკსა და კუიბიშევში მიმდინარეობს სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა 54-ე ჩემპიონატის პირველი ლიგის ტურნირები. შეგახსენებთ, რომ თითოეულ ტურნირში უმაღლესი ლიგის (მინსკი; მარტი, 1987 წ.) საგზურს ოთხ-ოთხი მოჭადრაკე მიიღებს.**

საქართველოს წარმომადგენლები ელიზბარ უბილავა და ზურაბ აზმაიფარაშვილი კუიბიშევში თამაშობენ. მონაწილეებმა უკვე 8 ტურის შეხვედრები გამართეს. გთავაზობთ თბილისელ საერთაშორისო ოსტატების შედეგებს: **I ტური:** აზმაიფარაშვილი — ლერნერი 0,5:0,5, უბილავა — იაკოვიჩი 0:1; **II ტური:** ლერნერი — უბილავა 0,5:0,5, იუდასინი — აზმაიფარაშვილი 0,5:0,5; **III ტური:** უბილავა — იუდასინი 1:0, აზმაიფარაშვილი — ნოვიკოვი (გადაიდო); **IV ტური:** სვეშნიკოვი — აზმაიფარაშვილი 0,5:0,5, ნოვიკოვი — უბილავა (გადაიდო); **V ტური:** უბილავა — სვეშნიკოვი 0,5:0,5, აზმაიფარაშვილი — მიხალჩიშინი 0,5:0,5; **VI ტური:** მიხალჩიშინი — უბილავა 0,5:0,5, ელვესტი — აზმაიფარაშვილი (გადაიდო); **VII ტური:** აზმაიფარაშვილი — ხალიფმანი 0:1, უბილავა — ელვესტი 0:1, **VIII ტური:** ტუკმაკოვი — აზმაიფარაშვილი 0,5:0,5, ხალიფმანი — უბილავა 1:0..

ამრიგად, რვა ტურის შემდეგ აზმაიფარაშვილს 2,5 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს, უბილავას — 2,5 (1). ტურნირს კი 6 ქულით ლენინგრადელი ალექსანდრე ხალიფმანი ლიდერობს.

## და კვლავ.., ჭადრაკი

**ხანგრძლივი** და მეტად რთული მატჩ-რევანშის დამთავრების სულ რაღაც 10 დღის შემდეგ მსოფლიოს ექსჩემპიონი კვლავ მიუჯდა ჭადრაკის დაფას. ანატოლი კარპოვი მონაწილეობს ტილბურგის (ჰოლანდია) ორწრიან დიდ საერთაშორისო ტურნირში.

I ტურში კარპოვი დაუზავდა ლიუბოევიჩს, ბელიავსკი დამარცხდა ენტონი მაილსთან (ინგლისი) ორთაბრძოლაში.

# ყვავილები „დედოფალს“

(დასასრული)

ვნება. მატჩმა ჩაიარა საკმაოდ კორექტულად, კარგ სპორტულ დონეზე და, ცხადია ღირსეულ ადგილს დაიკავებს მსოფლიო ჭადრაკის ისტორიაში.

ქალთა ჭადრაკის შემდგომი პოპულარიზაციისათვის დამთავრებული მატჩის მნიშვნელობის და ამ თამაშის განვითარებაში ქართველ მოჭადრაკე ქალთა, რესპუბლიკის საჭადრაკო საზოგადოებრიობის დიდი წვლილის შესახებ ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში სსრ კავშირის სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. გავრილინმა, ქვეყნის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარემ, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირმა, სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავმა ვ. სევასტიანოვმა.

დადგა ყველაზე ამაღელვებელი მომენტი: მაია ჩიბურდანიძე ჩემპიონის დაფნის გვირგვინით შეამკეს და ოქროს მედალი გადასცეს. ჟღერს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის ჰიმნები.

ჩემპიონისა და პრეტენდენტის მისამართით მრავალი კეთილი სიტყვა და სურვილი გამოთქვეს ამ საღამოს თავიანთ გამოსვლებში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარემ გ. ბედინეიშვილმა, ბორჯომის მინის ქარხნის მოწინავე მუშამ ა. კალმიკოვამ, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. გვახარიამ, ყაბარდო-ბალყარეთის ფილოლოგიისა და ეკონომიკის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ხ. ხუტუევმა, ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. ჭეიშვილმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. ასათიანმა, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატმა, პოეტმა ჯ. ჩარკვიანმა, გოგონათა შორის ჭადრაკში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა ქ. კახიანმა.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. მარგველაძემ წაიკითხა გადაწყვეტილება მაია ჩიბურდანიძისათვის საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის მინიჭების შესახებ. ქალთა საჭადრაკო ხელოვნების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისა და აქტიური საზოგადო საქმიანობისათვის ჩემპიონს გადასცა საპატიო დიპლომი.

ამ საღამოს შეკრებილთ ბევრი სასიამოვნო სიურპრიზი ელოდა. საესტრადო და ლირიკული სიმღერების პოპულარულმა შემსრულებელმა თ. გვერდწითელმა ახალი საკუთარი სიმღერა მიუძღვნა ჭადრაკის დედოფალს. სასიამოვნო საჩუქარი მიუძღვნა ჩემპიონს გამომცემლობა „ნაკადულმა“ — მერვე წიგნი მსოფლიო პირველობის მატჩებში ქართველი მოჭადრაკე ქალების მონაწილეობის შესახებ შექმნილი ციკლიდან. ახალი გამოცემა მოგვითხრობს ასეთი რანგის წინა შეჯიბრებებში მაია ჩიბურდანიძის გამარჯვებების შესახებ.

მაია ჩიბურდანიძემ და ელენე ახმილოვსკაიამ მადლობა გადაუხადეს მსოფლიო პირველობის მატჩის ორგანიზატორებს, აღნიშნეს, რომ მატჩის დროს მათ [illegible] მუშაობისა და დასვენების იდეალური პირობები ჰქონდათ. ახლა ორივე მოჭადრაკე თავიან- თანაგუნდელებთან — ნონა გაფრინდაშვილთან და ნანა ალექსანდრიასთან ერთად დაიწყებს მზადებას ჭადრაკის მომავალი მსოფლიო ოლიმპიადისათვის. ისინი მზად არიან კვლავ დაადასტურონ საბჭოთა სპორტის მაღალი რეპუტაცია.

საღამოს დასასრულს გაიმართა ხელოვნების ოსტატთა დიდი კონცერტი. (საქინფორმი).

### მეთოთხმეტე პარტია

**ე. ახმილოვსკაია — მ. ჩიბურდანიძე**

**გრიუნფელდის დაცვა**

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მf3 კg7 4. g3 0—0 5. კg2 c6 6. მc3 d5 7. cd cd 8. 0—0 მe4 9. მe5 მ:c3 10. bc მc6 11. მ:c6 bc 12. ლa4 ლb6 13. კa3 ლa6 14. ლ:a6 კ:a6 15. ეfe1 ეfe8 16. e3 e6 17. კf1 კ:f1 18. მფ:f1 კf8 19. კ:f8 მფ:f8 20. ეeb1. ყაიმი.

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

### გფრ

ქვეყნის ჩემპიონატში გუნდებმა მთელი „დისტანციის“ თითქმის ერთი მესამედი განვლეს. თერთმეტი ტურის შემდეგ ლიდერობს ჩემპიონი — მიუნჰენის „ბაიერნი“. ბოლო მატჩი „ბაიერნმა“ დასავლეთ ბერლინში ჩაატარა ადგილობრივ „ბლაუ-ვაის 90“-თან. ანგარიში უკვე მე-2 წუთზე გაიხსნა სტუმართა ცენტრალური მცველის აუგენტალერის დარტყმის შემდეგ. ამ მინიმალურ უპირატესობას ლიდერი თითქმის მატჩის ბოლომდე ინარჩუნებდა, მაგრამ მსაჯის საფინალო სასტვენამდე 5 წუთით ადრე პფაილცერმა საპასუხო გოლი გაიტანა — 1:1. ასე რომ ჩემპიონმა ქულა დაკარგა, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა ლევერკუზენის „ბაიერმა“, რომელმაც შინ მოუგო მაინის ფრანკფურტის „აინტრახტს“ (2:0) და ახლა მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება „ბაიერნს“. ასევე ორი ქულით ჩამორჩება ლიდერს „ჰამბურგერ შპორტფერაინი“, თუმცა ჰამბურგელებს შეეძლოთ უფრო მიახლოვებოდნენ ლიდერს. გელზენკირჰენში ადგილობრივ „შალკე-04“-თან შეხვედრაში იუსუფის მიერ 25-ე წუთზე გატანილი გოლის შემდეგ ისინი კარგა ხანს ინარჩუნებდნენ უპირატესობას. მასპინძლები ბევრს ცდილობდნენ ანგარიშის გათანაბრებას, მაგრამ ამაოდ. ბოლოს მათ ჰამბურგელთა გამოცდილი მცველი მანფრედ კალცი „დაეხმარა“: 81-ე წუთზე მან საკუთარ კარში ჩაჰკრა თონის მიერ კუთხურიდან მოწოდებული ბურთი. საბოლოოდ ფრე — 1:1. საინტერესო ბრძოლაში ჩაიარა თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში მოსკოვის „ტორპედოს“ მეტოქის „შტუტგარტის“ შეხვედრამ „კაიზერსლაუტერნთან“. მასპინძლებს, შტუტგარტელ ფეხბურთელებს პირველი ტაიმის ბოლო წუთზე მიეცათ ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ მათმა ისლანდიელმა ვარსკვლავმა სიგურვინსონმა ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი. მეორე ტაიმის დასაწყისში, 49-ე წუთზე „შტუტგარტი“ მაინც დაწინაურდა: კლინცმანმა ლამაზ ნახტომში, თავით გაიტანა ბურთი მეტოქის კარში. მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე არბიტრმა კიდევ ერთი პენალტი დანიშნა, ამჯერად მასპინძელთა კარში. ვუტკემ ზუსტად დაარტყა და ანგარიში გაათანაბრა — 1:1. აღსანიშნავია „კიოლნის“ გამარჯვება. დიუსელდორფში იქაური „ფორტუნა“ შუმახერის გუნდმა დიდი ანგარიშით დაამარცხა — 4:0. ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ბორუსია“ (დორტმუნდი) — „ნიურნბერგი“ 2:2, „ჰამბურგი“ — „ვერდერი“ (ბრემენი) 0:1, „ვალდჰოფი“ (მანჰაიმი) — „ბოხუმი“ 0:0, „ბაიერი“ (იურდინგენი) — „ბორუსია“ (მიონჰენგლადბახი) 1:1.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ბაიერნი“ | 11 | 22-10 | 17 |
| „ბაიერი“ (ლევერ.) | 11 | 25-10 | 15 |
| „ჰამბურგერ შფ“ | 11 | 20-10 | 15 |
| „ვერდერი“ | 11 | 21-17 | 15 |
| „შტუტგარტი“ | 11 | 20-11 | 13 |

### გდრ

ბოლო წლების აღიარებული ფავორიტი ბერლინის „დინამო“, რომელიც 1979 წლიდან მოყოლებული არავის უთმობს ჩემპიონის ტიტულს, მიმდინარე პირველობის გათამაშების ცხრილში ჯერჯერობით მეორე ადგილზეა. ბოლო, VIII ტურში ბერლინელებმა სტუმრად დაამარცხეს იენის „კარლ ცაისი“ — 4:0, მაგრამ გაიმარჯვა ლიდერმა ლაიპციგის „ლოკომოტივმაც“, რომელმაც შინ, ასევე დიდი ანგარიშით მოუგო კოტბუსის „ენერგის“ — 3:0. სხვა მატჩები ასეთი ანგარიშით დამთავრდა: „ფორტშრიტი“ (ბიშოფსვერდა) — „მაგდებურგი“ 1:1, „ვისმუტი“ (აუე) — „კარლ-მარქს-შტადტი“ 1:1, „შტალი“ (ბრანდენბურგი) — „დინამო“ (დრეზდენი) 2:2, „უნიონი“ (ბერლინი) — „ფორვერტსი“ (ოდერის ფრანკფურტი) 1:1, „შტალი“ (რიზა) — „როტ-ვაისი“ (ერფურტი) 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი“ | 8 | 13-4 | 13 |
| „დინამო“ (ბერლინი) | 8 | 22-5 | 12 |
| „კარლ-მარქს-შტადტი“ | 8 | 11-8 | 10 |
| „შტალი“ (ბრანდერ.) | 8 | 7-6 | 10 |

### ესპანეთი

მეათე ტურში ჩემპიონმა მადრიდის „რეალმა“ შინ სძლია მალიორკის „რეალს“ — 3:0, ხოლო მიმდინარე ჩემპიონატის ლიდერი „ბარსელონა“ სტუმრად დამარცხდა მურსიის „რეალთან“ — 0:1. გაგაცნობთ კიდევ რამდენიმე საინტერესო შეხვედრის შედეგს: „ესპანიოლი“ (ბარსელონა) — „რასინგი“ (სანტანდერი) 2:0, „ატლეტიკი“ (ბილბაო) — „საბადელი“ 4:2, „სევილია“ — „ატლეტიკო“ (მადრიდი) 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი“ (მადრიდი) | 10 | 20-9 | 14 |
| „ბარსელონა“ | 10 | 14-6 | 14 |
| „ესპანიოლი“ | 10 | 14-8 | 13 |
| „ატლეტ.“ (მადრიდი) | 10 | 14-11 | 13 |

### ინგლისი

XI ტურში „ლივერპულმა“ შინ დიდი ანგარიშით (4:0) დაამარცხა პირველი ლიგის დებიუტანტი „ოქსფორდ იუნაიტედი“. ორი გოლი გაიტანა ლივერპულელთა საუკეთესო ბომბარდირმა იენ რაშმა. თითოჯერ გამოიჩინეს თავი ამ კლუბის მოთამაშე-მწვრთნელმა კენი დალგლიშმა და დანიელმა იან მოლბიმ (მოლბიმ ზუსტად გამოიყენა პენალტი). „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ირლანდიის ნაკრების თავდამსხმელის სტეპლტონის მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით სძლია „ლუტონ თაუნს“. ასეთივე ანგარიშით და ასევე საკუთარ მინდორზე გაიმარჯვა გათამაშების ლიდერმა „ნოტინგემ ფორესტმა“, რომელმაც ლონდონის „ქუინზ პარკ რეინჯერსს“ აჯობა. გოლი 47-ე წუთზე გაიტანა ნოტინგემელთა მენეჯერის ბრაიან კლაფის ვაჟმა ნაიჯელმა. ლიდერის უახლოესი მდევარი „ნორიჩ სიტი“ შინ ეთამაშებოდა დედაქალაქის მეორე კლუბს „ვესტ ჰემ იუნაიტედს“. ანგარიში მასპინძელთა გუნდის მოთამაშემ დრინქლიმ გახსნა, მაგრამ გოდარდმა საპასუხო გოლი გაიტანა და ლონდონელებს დამარცხებას გადაარჩინა. „ჩელსიმ“ თავის მინდორზე მოუგო „მანჩესტერ სიტის“ — 2:1. სტუმართაგან გოლი გაიტანა კლუბის ახალმა წევრმა, უნგრელმა იმრე ვარადიმ, რომლისთვისაც ეს იყო პირველი მატჩი თავის ახალ კლუბში. „ევერტონმა“ სტუმრად დაამარცხა „საუთჰემპტონი“ — 2:0 (სტივენი, უილკინსონი). სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ჩარლტონ ატლეტიკი“ — „ლესტერ სიტი“ 2:1, „ნიუკასლ იუნაიტედი“ — „არსენალი“ 1:2, „ტოტენჰემ ჰოტსპური“ — „შეფილდ უენსდეი“ 1:1, „უოტფორდი“ — „ასტონ ვილა“ 4:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ნოტინგემ ფორესტ“. | 11 | 26-11 | 23 |
| „ნორიჩ სიტი“ | 11 | 19-12 | 22 |
| „ლივერპული“ | 11 | 23-12 | 20 |

### შოტლანდია

XIII ტურში კიევის დინამოელთა მორიგმა მეტოქემ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გლაზგოს „სელტიკმა“ შინ მოუგო „მაზერუელს“ — 3:1 (ორი გოლი ალან მაკინალიმ გაიტანა) და ლიდერობას ინარჩუნებს. მეორე ადგილზე მყოფმა „დანდი იუნაიტედმა“ ასევე შინ სძლია „კლაიდბენკს“ — 2:0. „გლაზგო რეინჯერსმა“ სტუმრად აჯობა „ფოლკერკს“ — 5:1. ამ მატჩში „ჰეთ-ტრიკი“ შეასრულა ფლეკმა. ძალზე უხეშ ბრძოლაში ჩაიარა „ჰემილტონ აკადემიკალისა“ და „ჰართ ოვ მიდლოთიენის“ შეხვედრამ, რომელშიც სტუმრებმა მიაღწიეს წარმატებას (3:1). არბიტრმა ექვსი ფეხბურთელი გააფრთხილა, ორი კი მინდვრიდან გაძევა. ტურის დანარჩენი ორი მატჩი ასეთი ანგარიშით დამთავრდა: „ჰიბერნიენი“ — „აბერდინი“ 1:1, „სენტ-მირენი“ — „დანდი“ 4:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სელტიკი“ | 13 | 29-7 | 22 |
| „დანდი იუნაიტედი“ | 13 | 27-9 | 21 |
| „გლაზგო რეინჯერსი“ | 13 | 25-9 | 19 |

## ინფორმაცია

**პეკინი.** ჩინეთის მძლეოსანთა საშემოდგომო შეჯიბრებაში გუან პინმა 5 კილომეტრზე სიარულში ქალთა მსოფლიო რეკორდი დამყარა — 21.26,5. საინტერესოა, რომ ძველი რეკორდიც ჩინელ სუცზეს ეკუთვნოდა (21. 34,37) და ერთი თვის წინ იყო დამყარებული.

**ტოკიო.** მხატვრულ ტანვარჯიშში მსოფლიო თასი ბულგარელმა ლილი იგნატოვამ მოიპოვა — 39,975 ქულა. ვერცხლის მედალი ორ საბჭოთა ტანმოვარჯიშეს — გალინა ბელოგლაზოვასა და ტატიანა დრუჩინინას გადაეცა. შეჯიბრება მათ ერთნაირი ქულებით (39,700) დაამთავრეს.

**პორტლენდი (აშშ).** აქ ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ციგურებით ფიგურულ სრიალში „სკეიტ ამერიკა“. პირველი პრიზი წყვილთა შორის ამერიკელმა ფიგურისტებმა კეტი კილიმ და ჯოზეფ მეროვ მოიპოვეს. მეორე ადგილზე კანადელები დენიზ ბენინი და ლინდონ ჯონსტონი გავიდნენ, მესამეზე — მოსკოველები ლიუდმილა კობლოვა და ანდრეი კალიტინი.

**რიგა.** უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა მორიგი ტურის მატჩები ასე დამთავრდა ტტტ (რიგა) — „კიბერკჰტისი“ (ვილნიუსი) 63:65, „ადის“ (აზოვიანი) — „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) 70:57, „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — ცსკა 80:71.

## „სპორტლოტო“

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 42-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 3 (ტრეკზე ველორბოლა), 9 (საგზაო-ტკეცილო ველორბოლა), 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი), 28 (ტყვიის სროლა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში), 42 (ჩოგბურთი).

**„სპორტლოტო 5-36“-დან:** 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 20 (აფროსნობა), 22 (წყალში ხტომა), 33 (ფეხბურთი), 35 (შაიბიანი ჰოკეი).

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია.** 21 ოქტომბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** საჭადრაკო სკოლა — **12.05 (2);** სტადიონი ყველასათვის **18.20 (1);** რიტმული ტანვარჯიში — **20.00 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში — **23.45 (1).**

რედაქტორის მოადგილე
**თ. გაჩეჩილაძე.**

ინდექსი: 66486. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ., 29. უე 07541